№ 87
კვირა, 23 აპრილი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 87
კვირა, 23 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 22

## ცხოვრებისათვის საჭირო შემოსავლის დაზღვევა

იმათ, ვისაც ჰსურთ თავიანთ თანხიდგან მეტი მუდმივი შემოსავალი ჰქონდეთ, ვიდრე სხვა დაწესებულებიდგან ეძლევათ, ვურჩევთ დააზღვიონ თავიანთი შემოსავალი „როსსიას" დამზღვევ საზოგადოებაში ამ თანხის ერთბაშად შეტანით.

| დასაზღვევის ხნიერება... | 55 წ. | 60 წ. | 65 წ. | 70 წ. | 75 წ. | 80 წ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| შეტანილ თანხის მუდმივი შემოსავალი... | $8,_{07}$% | $9,_{44}$% | $11,_{14}$% | $13,_{46}$% | $16,_{03}$% | $17,_{77}$% |

ასეთი დაზღვევა გამოსადეგია ყოველ წლოვანების უფლება უქონელთა დასაზღვევად, რომელნიც დამზღვევის მზრუნველობასა ქვეშ იმყოფებიან, ერთგულ მოხუცებულ მოსამსახურეთა უზრუნველ-საყოფელად და სხვა შემთხვევებშიაც.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში (პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, ს. № 76), გამგეობის განყოფილებაში ტფილისს (სერგიევის ქუჩა № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქში.

### დამზღვევი საზოგადოება „როსსია".

ნაღდი თანხა საზოგადოებისა 35.000,000 მანეთს აღემატება. (6—79—4)

**სამსონ დარისპანის ძე წერეთელი** შვილებითა და მისნი ძმისწულნი **ნინო და ნატალია** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი საყვარელის ცოლისას, მეორენი—დედისას, ხოლო უკანასკნელნი—ძლისას

## ეკატერინე წერეთლისას

და სთხოვენ მობრძანდნენ სა[illegible] მიცვალებულის გვამი დაკრძალულ იქნება ხუთშაბათს, 27 აპრილს. პანაშვიდი ყოველ დღე. (4—6.—1)

### შემოწირულება

—

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს.

თამარ დავითის ასულმა ჯაიანისამ—ცხრა არშინი ჩითი;

იოსებ იმედაშვილმა—წიგნის „ცხოვრების სარკის" ათი ცალი.

კნ. ქეთევან ირაკლის ასულმა ამილახვარმა შემოსწირა ორი წყვილი ძვირფასი ლიტრა.

## ახალი ამბავი

—

⁂ ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა მცხეთაში წყლის მილის გამართვას შეუდგება. წყალს გამოიყვანენ არმაზის ხეობიდგან, რომელიც [illegible] ვერსტის მანძილზეა. ამ საქმისათვის 4,500 მანეთია გადადებული.

⁂ გუშინ წინ, 22 აპრილს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება მოხდა. ამ კრებაზედ ბ-ნმა ზავაროვმა წაიკითხა საყურადღებო მოხსენება „სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა კავკასიაში 1899 წ." მოხსენების შინაარსს მკითხველებს შემდეგ ნომერში გავაცნობთ.

⁂ ამას წინად დუშეთის მაზრის სოფ. სნოში კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა ინსპექტორი ბ-ნი ე. მამინაიშვილი ყოფილა, მამინაიშვილს სოფლებისთვის ურჩევია, დააარსონ სასოფლო-სამრევლო სკოლა და ამასთან უთქვამს, სკოლის შენახვის ხარჯს საქართველოს საეპარქიო საბჭო ჰკისრულობს, თქვენ მხოლოდ შენობა ააგეთო. სოფლის საზოგადოებას განაჩენით დაუდგენია ამ ზაფხულს ააგოს სკოლა და თავისს ხარჯით შეინახოს დარაჯი. [illegible] 1 სექტემბრიდან დაიწყობა.

⁂ სახელმწიფო საბჭომ 27 წარსულ მარტს დაადგინა, რომ ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაში გაძლიერებულ იქმნას პოლიცია. დაწესებული იქმნება უმცროს ბოქაულის ორი ახალი თანამდებობა (სოფელ რიონსა და ბელაგორსა) და სამიც ბოქაულის თანაშემწის თანამდებობა, (ოზურგეთის მაზრის დაბა ლანჩხუთსა, შორაპნის მაზრის დ. ყვირილასა და ქუთაისის მაზრის დ. სამტრედიაში). ამ საქმისათვის გადადებულია 3,760 მანეთი, აქედგან 660 მანეთი ამიერ კავკასიის საერობო გადასახადიდგან, ხოლო დანარჩენი—ხაზინიდგან.

⁂ ქ. სოხუმში აზრადა აქვთ საურთიერთო კრედიტის საზოგადოება დააარსონ. დამაარსებელთ უკვე აღუძრავთ ამის შესახებ შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე. წარუდგენიათ აგრეთვე წესდების პროექტი, რომლის ძალითაც, თუ იგი მთავრობამ დაამტკიცა, საზოგადოებას ნება ექმნება მოკლე-ვადიან სესხის გაცემისა სოხუმის ოლქის გლეხთა საზოგადოებებსა და ამხანაგობებზედ.

⁂ 20 აპრილს ქალაქის გამგეობაში საჯარო ვაჭრობა მოხდა, რომელზედაც იჯარით გაიცა მნაცვალნობის ხიდზედ გადასახადის მოკრების საქმე. ეს საქმე დარჩა ბ ნს ი. მამინაიშვილს 7,400 მან. წელიწადში. ძველი მოიჯარედრე 6,400 მანეთამდე იხდიდა ქალაქის სასარგებლოდ.

⁂ [illegible], 20 აპრილს, ძირუტყვთა მოვარულე საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდა, გენერალ მაიორის რეიტერის თავმჯდომარეობით. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა ი. ნ. რეიტერს სამადლობელი

## ფელეტონი

—

### ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეგუკუჯებობანი.

რასაც კაცი თავისს თავს უზამს, იმას მტერიც არ უზამსო, ნათქვამია. მე არა მჯეროდა ეს ანდაზა, იმიტომ-რომ ძველია და ძველი, ხომ მოგეხსენებათ ბ-ნ ჟორდანიის სამეცნიერო იხზულებისაგან, რეტროგრადების საქმეა და მე-კი, თქვენი უმორჩილესი მონა ახალ-მოსული, მარტო იმის ნატვრაში ვარ, რომ ბ-ნმა ჟორდანიამ ლიბერალობის ტიტული მაწყალობოს, ვითარცა კირვალიძეს უწყალობა საქართველოს ერის წარმომადგენლობა. ეხლა ეს ანდაზა სწორედ ჩემს თავზე ახდა. ახია, ახი! დიახ, სწორედ ის დამემართა მე, რასაც ეგ ანდაზა გვეუბნება, და ეხლა მე ჩემის თვალითა ვხედავ, რომ ზოგჯერ ძველადაც მართლის თქმა შეძლებულა. არ ვიცი, ამაზე რას იტყვის ბ-ნი ჟორდანია? არა მგონია, დამეთანხმოს, იმიტომ რომ იმას ახალი ტყუილი ურჩევნია ძველს მართალს და თუ ასე არ მოიქცა, სახელს ლიბერალობისას წაიხდენს და მაშინ ვაი სირცხვილო!

ესეა თუ ისე, მე-კი სწორედ ჩემი დამემართა ჩემითვე, აქ სხვისა არავის ბრალია. მე ჩემი თავი თვითონ ჩავაგდე ჭირში, რაკი ბ-ნ ჟორდანიის მხილებას ხელი მივყავი. რამდენიც უფრო ახლო მივუველ, იმდენი უფრო დიდი და ღრმა საფლობი დამხვდა მისის უმეცრობის, ქარაფშუტობის, ორ თავიანობის, ორ-პირობის და სხვა ამისთანა ლამაზ-ლამაზ უნარებისა, ერთი მეორეზე უფრო საოცარისა, ერთი მეორეზე უფრო სასაცილოსი. რაკი, ჩემდა საუბედუროდ, კისრად ვიდე ამაებში მხილება ამ ჩურუქა მეცნიერისა, მე მომინდა გადაკითხვა მთელის მისის ნაწერებისა ხელ-ახლად და, სწორედ მოგახსენოთ, შევშინდი. შევშინდი, იმიტომ-რომ რა ტვინი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ არ გაუოლაყდეს ამოდენა ლაყე მეცნიერებისაგან. ხუმრობაა ამოდენა აბდაუბდის, ამოდენა იწილო-ბიწილოს, ამოდენა დომხალის ორი-სამი კვირა განუწყვეტლივ კითხვა, დახსომება და მერე ისევ ხსოვნიდამ საქვეყნოდ გამოლაგება და განიავება! სწორედ შევშინდი,—ერთი არა ამიტყდეს რა და საგიჟეთში თავი არ ამომაყოფინონ-თქო. ბევრსა ვნანობ ეხლა, მაგრამ რაღას ვუშველი? „წამხდარს საქმესა რას არგებს მერმე-ღა თითზე კბენანი". რაც მომივა, მომივიდეს: რაკი დავიწყე, ბოლოც უნდა გავატანო, თორემ თვით ბ-ნი ჟორდანია გულ-ნაკლულად დამრჩება და კიჟინას დამცემს.

„ერთის სიტყვით, ამბობს ერთგან ბ-ნი ჟორდანია, ანუ რედაქცია „კვალისა": მწერლობის ცხოვრებასთან შეკავშირება, მისი კვალ და კვალ მიყოლა, ახალ-ახალ მოვლენათა გარკვევა, ახსნა და შეგნება—აი რედაქციის მიზანი, აი მისი სატრფიალო საგანი" [1]).

მეორე ადგილას, აქ-კი თვითონ ბ ნი ჟორდანია, ახვევს-რა მჩვარში ძველ მოღვაწეებს, ასე გვიხატავს ახალს მოღვაწეს, ესე იგი, თავისს თავს და თავისს მგზავსს. ახალი მოღვაწეო:

„პირველ ყოვლისა არავითარს რეცეპტს არა (ს)წერს, არავითარ მარშრუტს არ ადგენს. ის იცნობს ცხოვრების მსვლელობას ისე, როგორაც არის. (ჰ)სურს მხოლოდ ეს გამოარკვიოს და ახსნას" [2]).

ამ ორის ტირადის სიბრძნე ის არის, რომ ახალი მოღვაწე (რომელთ შორის, რაღა თქმა უნდა, ბ-ნი ჟორდანიაც უნდა ვიგულვოთ) იგია, ვინც ცხოვრების მსვლელობას იცნობს ისე, როგორიც არის, კვალი-და-კვალ მისდევს ცხოვრებას, ახალ-ახალ მოვლენათა არკვევს, ჰხსნის და იგნებს, ვისაც ჰსურს გამოარკვიოს და ახსნას ყოველივე იგინი. როგორ მოგწონთ ეს ვითომდა ნიშნობლივი კუთვნილებანი ახალის მოღვაწისა. სანაძლეოს დავდებ, ვინც შესძლებს ამისთანა ნიშნებით გაარჩიოს ახალი მოღვაწე ძველისაგან. ვისაც-კი ოდესმე ცხოვრება და მისი მოვლენანი თავისის განკითხვის და განსჯის საგნად გაუხდია, განა ცხოვრება არ უცვნია ისე, როგორიც არის, მისნი მოვლენანი არ ურკვევია, არ აუხსნია, არ ჰსურვებია მათი ახსნა, შეგნება და გამორკვევა, ხოლო თავისებურად-კი? საქმე აქ თავისებურობაშია, ამით და მხოლოდ ამით განირჩევა ერთი მოღვაწე მეორისაგან, ძველი ახალისაგან. ათადამ ბაბადამ ათასნი მოღვაწენი ყოფილან, რომელთაც საგნად ყოველივე ეგა ჰქონიათ და დღესაც ათასსა აქვს, ხოლო ყველა ერთნაირად არ იმცნევს ცხოვრების მსვლელობას, ერთნაირად არა ჰხსნის და არკვევს მისს ავსა და კარგსა და მარტო ამ სხვა-და-სხვაობაშია იგი ნიშნები, რომლითაც უნდა განირჩეოდეს ახალი ძველისაგან, თუ არ დაგიშლიათ. განა აშკარა არ არის, რომ ბ-ნ ჟორდანიას სადღაც ყური მოუკრავს, რომ არიან ახალნი და ძველნი მოღვაწენიო, თუთიყუშსავით დაუსწავლია და უნარი კი არა ჰქონია, საფანელი შემოჰკლებია ნიშნობლივ მიეგნო ან ერთისა, ან მეორისათვის და იმისთანა ამბებს მოჰყოლია, რომელიც ისე მიეწერება ახალს, როგორც ძველსა.

მართალია, არ-ცოდნა არ-ცოდვააო, მაგრამ ერთი ჰკითხეთ ბ-ნ ჟორდანიას: ვინ ატანს ძალას, რომ რაც არ იცის, იმას ეჰიდება და, გინდათ თუ არა, სწერს. დავანებოთ ამას თავი და შევუდგეთ ეხლა იმას თუ,—როგორა სცნობს ბ-ნი ჟორდანია ცხოვრების მსვლელობას, როგორა ჰხსნის, არკვევს, როგორ შეუგნია მისნი მოვლენანი და მით „კვალის" „სატრფიალო საგანი" გაუპატიოსნებია.

„ივერიაში" ერთს მეთაურს წერილში ავტორს, მოჰყავს რა თავისი საზრისი, ამბობს:

„ცხადია, რომ ჩვენში ფართო გზა უნდა მიეცეს სამეურნეო სწავლა-ცოდნას, რათა ამ საშუალებით ხალხს ხელში მიეცეს ისეთი სახსარი, რომელიც ეკონომიურ ბრძოლას გაუადვილებს და ბუნების, მიწის სიუხვეს არ დაუკარგავს".

ამაზე ბ-ნი ჟორდანია სასაცილოდ იგდებს „ივერიას" და იძახის:

„აი ასეთი სასწაულთ მომქმედი ყოფილა სამეურნეო სწავლა-ცოდნა! ის თურმე კაპიტალიზმსაც შეებრძოლება და მის მავნე გავლენისაგან გვიხსნის. ამ სახით მეურნეობა გამოცხადებულია ბურჯად ერის ცხოვრებისა [3]), ხოლო

[1]) „კვალი", 1898 წ. № 1, გვ. 1.
[2]) „კვალი" 1898 წ. № 40, გვ. 657.
[3]) ამაზე დიდი უბედურება და დანაშაულობა-ღა იქმნება, განა, ბ-ნო ჟორდანიავ, ჩვენო ტყუილო მარქსისტო! ავტორი.

ადრესი მიართვას ხანგრძლივის მოღვაწეობისათვის.

** წმ. ნინოს სასწავლებლის საზოგადოების თვლავის განყოფილების გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ თვლავის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში ამ სამოსწავლო წლის გასულს განთავისუფლდება ერთი საიმპერატორო სტიპენდია. ამ სტიპენდიაზედ ის იქმნება მიღებული, ვისაც გენჰი ერგება. თხოვნები დასახელებულ გამგეობის სახელობაზედ უნდა გაიგზავნოს. თხოვნების გაგზავნა მაისამდე შეიძლება.

** ნიხრის დამწესებელმა კომისიამ საქონელი იყიდა და დაჰკლა იმის გასაგებათ, თუ რამდენ კაპეიკად შეიძლება ჰყიდონ ხორცი ყასბებმა. ამ ცდამ სანუგეშო ვერა გამოარკვია რა; აღმოჩნდა, რომ არსებულს ნიხრზე გირვანქა ხორცს კიდევ უნდა მიემატოს 2 კაპ., ამის გამო ქალაქის გამგეობამ და ხსენებულმა კომისიამ დაადგინა, სანამ ნიხრს შესცვლიდნენ, კიდევ იყიდონ საშინჯი საქონელი და დაჰკლან. გამგეობის და კომისიის შეერთებულს კრებაზედ აგრეთვე დადგენილ იქმნა, გამგეობის უფროს აგენტის ბ-ნ ა. გ. ჯაბადრის წინადების თანახმად, გადაიდოს 600 მან. ბაკში სასწორის გასამართავად, რომელიც საჭიროა გასაყიდ საქონლის ასაწონად, რათა ამით გაადვილდეს ხორცის ფასის გაგება საქონლის დაუკვლელად.

** ს. მიქელგაბრიელი (გურია). 12 აპრილს აქაურ სკოლის დარბაზში გაიმართა წარმოდგენა წიგნთ საცავის სასარგებლოდ. წარმოადგინეს: „დაკარგული ჯვარი“, „ადვოკატთან“ და „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. შემოსავალი 39 მან. 76 კ., [illegible] ხარჯი [illegible] მან. 80 კ., წმინდა შემოსავალი დარჩა წიგნთ საცავს 31 მან. 5 კ.

სამკითხველო დაარსდა შარშან 26 დეკემბერს, ჯერ-ჯერობით საქმე კარგად მიდის. საკუთარი სახლი აქვს წიგნთ-საცავს, ჟურნალ-გაზეთები და ცოტა რამ წიგნებიც, კარგი გასტუმრებულია და 100 მანეთამდე ნაღდი ფულიც აქვს, რაიცა მალე მოხმარდება წიგნების ყიდვას.

** დ. ჰიათურა. ორი კვირა გავიდა, რაც ჭიათურის სამრეწველო ბოქაული ბ-ნი ნესტორ ნიკოლოზის ძე არდიშვილი აქედგან გადაიყვანეს და მისი თანამდებობის აღსრულება დროებით მიანდეს ჭიათურის ნაწილის ბოქაულს ბ-ნ კეიდიას, რომელიც, სამწუხაროდ ჭიათურისათვის ვერ იცლის. ამით ისარგებლეს აქაურმა „მგლავაძეებმა“ და თავისუფლად დათარეშობენ ქუჩა ქუჩა ხანჯალ-ამოღებულები ანდა გეტ-მოღერებულები. ისე დღე არ გაივლის, სამიოთხი კაცი ხანჯლით არ დასჭრან ანუ გეტიათა და ქვით თავპირი არ დაუმტვრიონ გამვლელ-გამომვლელთ.

მდინარე ყვირილაში, რომელიც ჭიათურას ჩამოუდის, ბაწრით ხელ-ფეხ შეკრული დამრჩვალი კაცი ნახეს. არავინ იცის, ვინ არის ეს კაცი. მეორე შემთხვევა: 19 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, მძიმედ დასჭრეს თავისს კანტორაში შავი ქვის ცნობილ მწარმოებლის პანასიეს კანტორის და მამულების მმართველი ნიკოლოზ კოტრენი. ბ-ნი კოტრენი იჯდა თურმე და შემოსავალ-გასავლის წიგნებს ასწორებდა. უკლავს ემინა. ბაზრის ღამის დარაჯებიც ტკბილს ძილს მისცემოდნენ. უშოვია დრო ბოროტ-განმზრახველს, შესულა სახლის აივანზედ, უსვრია თოფი და ტყვია მარჯვენა მკლავში მოურტყავს. იმ დამესვე შეუდგნენ ბოროტ-განმზრახველის ძებნას, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს; მხოლოდ ერთს ჩაჩანზედ შეიტანეს ეჭვი, რომელიც პანასიეს კანტორაში ჰმსახურობდა და ცუდის სამსა[illegible] დაუთხოვნია. ეს ჩაჩანი პოლიციამ დააპატიმრა და გამოძიება სწარმოებს.

** სოფ. ყარალაჩი (კავკავის მაზრა). მარტში აქ გარდაიცვალა ერთი 140 წლის მოხუცი, ბათა ბოციევი. ეს კაცი, მასდა მიუხედავად, რომ ასე დიდის ხნისა იყო, მაინც კარგად მუშაობდა, ტყეში დადიოდა და ამასთანავე ყური და თვალიც კარგად უჭრიდა. ბლომად არაუს სვამდა. აგრეთვე სოფელში წვეულობა არ აკლდა.

** სოფ. ბათაყო (კავკავის მაზრა). ამ თვის პირველ რიცხვში ერთ ბათაყოელ ყმაწვილ კაცს თავა მოჰქონდა ურმით მინდვრიდგან. გზაში დაუხვდნენ მას სოფ. დასკელჯიელი ქისტები და ცხენის წართმევა დაუპირეს. ცხენის პატრონმა უთხრა: გამოუშვით ცხენი თითონ თქვენ და წაიყვანეთო. ქისტებმაც გამოუშვეს და გზას გაუყენეს ცხენი. ცოტა რომ გაიარეს, ბათაყოელმა გამოაძრო თივიდგან დამალული ბერდანის თოფი, ამოუფარა ურემს და დაუშინა ტყვია ქისტებს. ორივე ქისტი მოჰკლა და ერთი ცხენიც მოუკლა.

** 21 აპრილს ქურდობა აღმოაჩინეს სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში. ვილაცა, იქ მოსამსახურე ბიჭებს, გიორგას და არტემას რამდენჯერმე განეზრახათ ლუდხანის პატრონის ექვთიმე მელაშვილის დახლის გაქურდვა, მაგრამ ზედ მიესწროთ და თავიანთი ბოროტ-განზრახვა აღსრულებაში ვეღარ მოეყვანათ. მესამედ კიდევ მისულან და მოუპარავთ დახლიდგან ათ მანეთამდე. პოლიციამ უკვე შეიპყრო ქურდები.

** „ტფილ. ფურც.“-ს სიტყვით, ქუთაისის რკინის გზის შტოზე 19 აპრილს უეცრად გარდაიცვალა ქუთაისის მაზრის მცხოვრები ივანე კუროშვილი.

** ბაქოში დაუჭერიათ 17 წლის ქალი ანნა კონოვალოვისა. იმას ვაჟი ეყოლა თურმე, რომელიც ჩვრებში შეახვია და სკივრში დამალა. როცა სხეული გაიხრწნა, ამოიღო იქიდგან, წაიღო ზღვის პირას, ქვა მოაბა ზედ და წყალში გადააგდო. გამომძიებლისათვის უთქვამს კონოვალოვს, რომ მამისა შემეშინდა და იმიტომ ჩავიდინე ეს საქმეო.

** [illegible] წინად აქ ორმა აქაურმა ახალგაზდამ ს. ტ. და გ. გ. ერთი საძაგელი საქმე ჩაიდინეს: მათ წაართვეს საცოდავს მთხოვარას რამდენიმე მანეთი. ეს ამბავი ხევის თავეზმაც გაიგეს, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს.

დობაც გახშირებულია ჩვენში, იპარავენ ცხვარსა, გოჭსა, ქათამსა და სხვას.

** ბ ა რ ი ს ო ს ე ბ ი. მშვენიერი გაზაფხული დადგა. ხალხი გაცხარებულ სიმინდის ხვნა-თესვაშია. ხეხილები მშვენივრად შეიმოსა ყვავილებით. კავკასიონის მედიდური მთებიც აპრელდა და თოვლმა დნობა დაიწყო. ჯეჯილებსაც მშვენიერი პირი უჩანს ჯერ-ჯერობით.

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

მთელი ხუთი წლის განმავლობაში ტრანსვაალში სცხოვრობდა კრეზოს ქარხნის წარმომადგენელი ინჟინერი ლეონი. პრეზიდენტი კრიუგერი და გენერალი ჟუბერი სანდო კაცად სთვლიდნენ მას, როგორც ბურების ერთგულ მეგობარს. ომის დაწყებიდგან მოყოლებული ლეონს საპატიო ადგილი ეჭირა ბურების ჯარში და, ცხადია, საქმის ვითარება ტრანსვაალსა და ორანჟეში კარგად ექნება შესწავლილი. 12 აპრილს ლეონი დაბრუნდა საფრანგეთში და გაზეთების თანამშრომლები მაშინვე შემოეხვივნენ მას, რათა ახალი რამ გაეგოთ ბურების შესახებ

გაზეთ „Journal“-ის თანამშრომელს უკითხავს მისთვის: რამდენი ზარბაზანი დაუმზადა და გაუგზავნა კრეზოს ქარხანამ ტრანსვაალსო? ლეონს სწორი პასუხი არ მიუცია ამ კითხვაზე, რადგან ეს საგანი საიდუმლოა, მაგრამ განუცხადებია, რომ ასეთ ზარბაზნების რაოდენობა ერთობ მცირეაო და თან დაუმერია, რომ ბურები სასწაულთ-მოქმედებას ახდენენ ამ მცირე რიცხვითაცაო. მისის სიტყვით, ბურები სამაგალითო მეარტილერიები არიან, რომელნიც არაოდეს ანუ იშვიათად ააცდენენ მიზანს ნასროლ ყუმბარას. [illegible] მართალია გავრცელებული ხმები, ვითომც პრეტორიის სიმაგრეებში არ იყოს საკმაო რიცხვი ზარბაზნებისაო? ამაზედ აი რა უპასუხნია ლეონს: „ეს ხმები ერთობ გაზვიადებულია ინგლისელების ყუმბარები უპასუხოდ არ დარჩებიან ბურების ზარბაზნების მხრივ, რომელთა რიცხვი საკმაოა მათს სატახტო ქალაქში. პრეტორიის გარშემო ხუთი სიმაგრეა აგებული, რომელნიც იფარავენ ქალაქს; ზოგიერთ იმათგანში ამ ჟამად ზარბაზნები არ აწყვია, მაგრამ ზარბაზნების გადატანა ადვილია და როცა საჭიროება მოითხოვს, ყველაფერი თავისს ადგილას იქნება. ყოველ შემთხვევაშიო,—განუცხადებია ლეონს,—მე არა ვფიქრობ, რომ ბურებმა პრეტორიაზე ალყის შემორტყმამდე მიიყვანონ საქმე, თუნდაც დარწმუნებული იყვნენ, რომ დიდხანს ვიქნებით გამაგრებულიო. ისინი ნებას არ მისცემენ მტერს, პრეტორიაში გამოამწყვდიოს ისინი, და თუ მაინცა და მაინც უმუხთლა ბედმა, ჩრდილოეთისაკენ წავლენ ლეიდენბერგის ოლქში. იქ ისინი სრულიად უზრუნველყოფილი იქნებიან. ამ ადგილებში ინგლისელები ათასგვარ უძლეველ დაბრკოლებას ჰპოვებენ და ეს დაბრკოლება კიდევ უფრო გაორკეცდება, ტრანსვაალში ჯარების ჩაყენება თუ გადასწყვიტეს; ამ შემთხვევაში მათთვის, სულ უკანასკნელი, 150,000 ჯარის კაცი იქნება საჭირო ამბოხების მოსასპობლად, რომელიც რესპუბლიკის ყველა კუთხეში ასტყდება“-ო.

ბურების ჯარის რაოდენობის შესახებ ლეონს უთქვამს, რომ ომის დაწყებიდან მათი რიცხვი 30—35 ათას კაცს არ აღემატებოდაო, მაშინ როდესაც, ინგლისელებს 200,000 კაცი ჰყავთო. აგრეთვე, მისივე სიტყვით, ბურების მხრივ დღემდის 600 კაცზე მეტი არ მომკვდარა მტრის ხელით; საზოგადო რიცხვი-კი დახოცილთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა (გენერალ კრონიეს ჯარიანათ) 6000 კაცს არ აღემატება. მაშინ როდესაც ინგლისელების მხრივ იქნება დაკარგული 40,000 კაცზე მეტი.

---

მეურნეობის ბურჯად სამეურნეო სწავლა-ცოდნა [5]). მაშასადამე სამეურნეო სწავლა-ცოდნა არის ბურჯი ერისა“. [6])

აი რა დასალუპავი ყოფილა „ივერია“, რომ ეს უთქვამს იქ, საცა ბ-ნი ჟორდანია ჰლაღადებს სოფლის გაქალაქებას და გადაშენებას! აი როგორ დაიცინება ეს ჩვენი ხათაბალა მეცნიერი! ფრანგები იტყვიან: ის იცინის კარგად, ვინც ბოლოს გაიცინებსო. ვნახოთ, იქმნება ეს კაი სიცილი ჩვენ გვერგოს. აბა ყური დაუგდეთ ამ ჩვენს ბრძენსა. იგი ერთს ადგილას ამბობს, რომ ხალხმაო უნდა:

„ისწავლოს, განათლება შეიძინოს, მარა განათლება არა განყენებული (განათლება განათლებისათვის), არამედ ყოველ დღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებელი და თავის რჩენის გამაადვილებელი“ [7]).

მეორე ადგილას, ამაზე ცოტა წინ იგივ ბ-ნი ჟორდანია ჰბრძანებს: დღევანდელი სწავლა-განათლება, ყოველნაირი დაწესებულება იმასა ჰცდილობენ, რომ:

„კაცს მისცენ შესაფერი იარაღი ბრძოლისა და მით თავის რჩენა გაუადვილოს“. („კვალი“ 1898 წ. № 41, გვ. 674).

ზემოდ ხომ დასცინა „ივერიას“ ჩვენმა სასაცილო მარქსისტმა, ქვემოდ-კი სწორედ იმასვე ჰლაღადებს, რასაც ზემოდ სასაცილოდ იგდებს. რა ჰქვიან ამ წაჯეგ-უკუჯეგობას? მე სახელი ვეღარ მომიგონია. მთელი ლექსიკონი გამითავდა ბ-ნ ჟორდანიის საქციელის დასახელებლად. ეხლა თქვენ იცით.

ხომ ნახეთ რა მალაყს გადავიდა ეს ჩვენი ახალი მოღვაწე. ქვეყნის სასაცილოდ ეს არ იკმარა და აი კიდევ რა გვარად შეაქო ბ-ნმა ჟორდანიამ სწორედ იგი სიტყვა „ივერიისა“, რომელსაც ზემოდ დასცინა ისე მარიფათიანად და თავ-მოწონებულად. ერთს ადგილას გვეუბნება, რომ ორნაირი დარგია სახალხო სწავლა-ცოდნისაო და ერთი იმათგანი:

„ტეხნიკური განათლებაა, რომლის მიზანია კაცი ხელობის მცოდნეთ გახადოს, რომელსამე სპეციალურს (კურსივი ჩემია) საგანში დაახელოვნოს და მით პრაქტიკულად გაგებულ მუშათ გამოიყვანოს. აა როგორი მიმართულება მიიღო დღეს ევროპის სახალხო განათლებამ“. [8]).

ხომ ვერ იტყვის ბ-ნი ჟორდანია, რომ სამეურნეო ხელობა სპეციალური საგანი არ იყოს, ვერც იმას იტყვის, რომ ამ ხელობის გლეხ-კაცი მუშა არ იყოს და ვერც იმას, რომ საჭირო არ იყოს ეს მუშა გლეხ კაცი ხელობის მცოდნე კაცად გახდეს, სამეურნეო საქმეში დახელოვნდეს და მით პრაქტიკულად გაგებულ მუშად გამოვიდეს. სახალხო სამეურნეო სწავლა-ცოდნას ხომ საგნად მარტო ესა აქვს. რაკი ყოველივე ესეა, მაშ რაღად აიგდო სასაცილოდ „ივერია“, როცა მან მარტო ესა სთქვა და სხვა არა რა. თუ ასეთი მიმართულება მიიღო დღეს ევროპის სახალხო განათლებამ, მაშ ბარაქალა „ივერიას“, რომ ეს ადრევე ურჩევია ჩვენთვის და ოლოლო ბ-ნ ჟორდანიას, რომ იმას დასცინის „ივერიას“ იმის გამო, რაც დღეს ევროპაში მიღებულია თვით ბ-ნ ჟორდანიის სიტყვით. აბა, თუ არ დაგიშლიათ, ეხლა გაიცინეთ, ბ-ნო ჟორდანიავ!

გაგონილა, კაცმა ასე უარ-ჰყოს თავისი თავი, თავისი თქმული,—აქაო-და სადღეღელი ამეშალა და მინდა ასე თუ ისე ავად ვახსენო ვინმეო! ასე წარამარად ლაპარაკობდეს კაცი და ამასთან კადნიერად და თავ-მოწონებით იძახოდეს: ჩვენ მოწოდებული ვართ ახალ-ახალნი მოვლენანი გავარკვიოთ, ავხსნათ, შევიგნოთ,—აი „კვალის“ რედაქციის სატრფიალო საგანიო. კაი მოგეკათ, კარგი ახსნა და გარკვევა იყოს ეგ თქვენი ხან ასე და ხან ისე ცეროტივით ტრიალი, დღეს ერთის თქმა და ხვალ თქმულის გადათქმა. კაი სატრფიალო საგანი აურჩევია ბ-ნს ჟორდანიას, ნუ დაიშლის, აბა მაგრა ჩაეხვიოს უსურვაზის წნელივითა.

„ჩვენი მიზანია ცხოვრების ფურცლებზე ის წავიკითხოთ, რაც დაწერილია და ან იწერება და არა ის, რაც წამკითხველის ოცნებაში აღბეჭდილაო (?) ამბობს ერთგან „კვალის“ რედაქცია“

ვნახოთ ეხლა ბ-ნ ჟორდანიას,—რა წაუკითხავს ცხოვრების ფურცლებზე. მოგეხსენებათ იგი ერთ დროს წარძანებულა და კახეთი დაუვლია. ჯერ, რასაკვირველია, როგორც მოგეხსენებათ ბ-ნ ჟორდანიის მხატვრობის ნიჭი და ცოცხალი მეტყველება, იგი ჰაისა და ჰოის იძახის კახეთის მშვენიერებ[ა]თ ვითომდა აღტაცებული და ერთი მართლა ცოცხალი სიტყვა, ერთი სასურათო ხაზი ვერ მოუხერხებია, რომ სხვამაც იგრძნოს ცოტათი მაინც, რას აღუტაცნია ეს ტყუილად აღტაცებული მეცნიერი. ხოლო მეცნიერი რა მეცნიერია, მერე მარქსისტი, რომ სიტყვა-კაზმულის მეტყველებით თავი შეირცხვინოს. იგი, როგორც ვნახავთ, წაბძანებულა კახეთში, რომ „ცხოვრების ფურცლებზე ის წაიკითხოს, რაც დაწერილა და ან იწერება და რადგანაც იგი, ვითარცა ახალი მოღვაწე იცნობს ცხოვრების მსვლელობას ისე, როგორც არის, (ჰ)სურს მხოლოდ ეს გამოარკვიოს და ახსნას“.

ამ მხრით-კი, კაცმა მართალი უნდა სთქვას, დიდი სიბრძნე, დიდი უნარი ღრმად დაკვირვებისა, დიდი უნარი გამორკვევისა და ახსნისა გამოიჩინა ჩემდა საოცრად, თუმცაკი არა-მოულოდნელად წარმოიდგინეთ, კ[ა]ხეთში ცხოვრების ფურცლებზე დიდის გამოძიების და ჯაფის შემდეგ ბ-ნ ჟორდანიას წაუკითხავს, რომ გლეხს თურმე გლეხურად აცვია, თავადს თავადურად, მედუქნეს მედუქნურად და თითქმის მღვდელსაც მღვდლურად. საოცარი ამბავი არ არის, თუ თქვენც იტყვით! განა საქებ-სადიდებელი არ არის ბ-ნი ჟორდანია, რომ აქამდე ყველასაგან უცნაური ამბავი აღმოაჩინა! მერე იცით აქედამ რა გამოჰყავს? გაოცდებით, როცა შეიტყობთ. აი რა არის ახალი მოღვაწე და მისი ცნობა ცხოვრების მსვლელობისა ისე, როგორიც არის!.. არა ჰგავს ძველების ფანტაზიას! არა გჯერათ? იქნება გგონიათ, რომ მე ცილსა ვწამებდე? აი თვითონ მისი ბედნიერი და ხელის-ხელ საგოგმანებელი სიტყვები: კახეთშიო

„გლეხ-კაცს, რაც უნდა შეძლებისა იყოს, უთუოდ გლეხ-კაცურად აცვია (კა! კა! კა!), მისი ტანისამოსი ერთიანად განირჩევა სხვის ტანისამოსისაგან. გვრც ერთს იმ საცმელს, რაც მას

[4]) ვაი, დაღუპულო ქვეყანავ, დაღუპულო საქართველოვ, ბეჩავ სწავლა-ცოდნა გაგიბიდა! ეს რა ღვთის წყრომა გწვევია! (ავტორი)

[5]) „ცნობის ფურცელი“ 1900 წ. № 16, გვ. 250.

[6]) „კვალი“ 1898 წ. № 41, გვ. 674.

[8]) „კვალი“, 1898 წ. № 41 გვ. 675.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასამართლოს მატიანე

უმართებულესის სენატის დადგენილება თავ. შ. ტუსიშვილისა და სხვათა შესახებ.

როგორც ვუწყით, უმაღლესმა სენატმა მეორედ გააუქმა ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი თავადი ტუსიშვილისა, ბარათაშვილისა, აზ. ოსიტაშვილისა და ობერ-აფიცრის შვილის ტერ-შმოვანოვის შესახებ, რომელთაც გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ. პალატამ ორჯელვე უმთავრესს ბრალდებულად იცნო ტერ-შმოვანოვი, რადგან როდესაც გაბაშვილი მშვიდობიანად მიდიოდა ვერის გზა-ტკეცილზედ, მან დაიძახა: „მოჰკალითო!", „ხანჯლები იშიშვლეთო!" და ამის შემდეგ იმისმა ამხანაგებმა ნასვამთ თავ. ტუსიშვილმა, თ. ბარათაშვილმა და აზნ. ოსიტაშვილმა იშიშვლეს ხანჯლები და, თავს დაეცნენ რა გაბაშვილს, დასჩრეს იგი სასიკვდილოდ. ამასთანავე ოლქის სასამართლომაცა და პალატამაც ის აზრი გამოსთქვა, რომ თავში გაბაშვილი უეჭველად თავ. ბარათაშვილს დაუჭრიაო. ყველა ბრალდებულს ოთხ-ოთხის წლით კატორგაში გაგზავნა გარდაუწყვიტეს.

სენატი, რომელმაც ბრალდებულთა საკასაციო საჩივარი განიხილა და პალატას განაჩენი გააუქმა, თავისს დადგენილებაში სწერს:

„ტფილისის პალატამ არ შეასრულა სენატის დადგენილება, რომ გამორკვეულ უნდა იქმნასო განაჩენში, რა მონაწილეობა მიუღია ამ დანაშაულში თითოეულს ბრალდებულს ოთხთაგან, რომელთაც თუმცა ერთად ჩაუდენიათ დანაშაული, ხოლო არა ამთავით მორიგებითა და შეთანხმებით, რითაც პალატამ დაარღვია სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების მე-933 მუხ., ამასთანავე პალატამ კვლავ სცნო, რომ გაბაშვილს სულ ორი სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა, რომელთაგან ერთი თავში თავ. ბარათაშვილის მიერ ხანჯლის დაკვრით არის დაჩნეულიო და ამ მიზეზით პალატის განაჩენში წინა-უკმოობაა, ვინაიდგან მისგან გამორკვეულია, რომ გაბაშვილი ორგანვე სასიკვდილოდ დაუჭრიათ სამს ბრალდებულს ცალკ ცალკეო, რითაც მან, პალატამ, დაარღვია სისხლ. სამართ. საქმეთა წარმოების წესდების მე-797 მუხ".

ამ საქმეს მესამედ ტფილისის სამოსამართლო პალატის მეორე დეპარტამენტი განიხილავს.

—

თავ. კ. ი. მუხრანსკისა და პლიუშჩევსკის მემკვიდრეთა საქმე.

21 აპრილს ტფილისის მამოსამართლო პალატის მეორე სამოქალაქო დეპარტამენტმა განიხილა კერძო საჩივარი პლიუშჩევსკის მემკვიდრეთა ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებაზედ, რომლითაც განსვენებულის თავ. ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ვალდებულების ქაღალდი ოლქის სასამართლომ ყალბად იცნო. ამ ვალდებულების ქაღალდით, როგორც ვუწყით, პლიუშჩევსკი თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის ათი ათასს თუმანზედ მეტს ფულს ედავებოდა.

პალატამ დაადგინა: დატოვებულ იქმნას განუხილველად პლიუშჩევსკის მემკვიდრეთა საჩივარი, რადგან სასამართლოს იმ დადგენილებაზედ, რომ ვალდებულების ქაღალდი ყალბად იქმნას ცნობილიო, არ შეიძლება კერძო საჩივარი იქმნას შეტანილი სააპელაციო საჩივრის გარეშე.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ოქსფორდის უნივერსიტეტის (საუკეთესო უნივერსიტეტად ითვლება ინგლისში) პროფესორად ნამყოფმა, ცნობილმა მეცნიერმა სმიტმა საყურადღებო წერილი დაჰბეჭდა გაზეთ „New-York Sum"-ში ინგლის-ტრანსვაალის ომის შესახებ. მეცნიერი საშინლად ჰკიცხავს ინგლისს და იმის მიერ გამოწვეულ ომს „მეორე ჯემსონის თავ-დასხმას" ეძახის. ყველა ხალხის სული და გული, ამბობს სმიტი, რასაკვირველია, პატარა რესპუბლიკის მხარესაა, რომელიც მხოლოდ თავისს დამოუკიდებლობისათვის იბრძვისო. ეს ომი ბევრ ინგლისელისათვის,—განაგრძობს მეცნიერი,—გასართობ, დროს გასატარებელ სპორტს შეადგენს. ინგლისის სამარცხვინოდ მიმაჩნია პორტუგალიისკენ ხელის გაწოდება და იმისაგან შემწეობის მიღებაო.

* * *

ლონდონში ამას წინად სამართალში მიუციათ ერთი ახალგაზდა ქალი, სარწმუნოებით მაჰმადიანი. სახელად ამ ქალს ზულეიკა ჰქვიან. ზულეიკას მკითხაობის ბრალსა სდებდნენ. საქმის გარჩევის დროს სასამართლოში ამ ქალმა ყველას ყურადღება მიიქცია თავისს ოსმალურ ტანისამოსით, მდიდარის ბეჭდებითა და სამაჯურებით. წაკითხულ იქმნა სასამართლოში რამდენიმე წერილი, საიდგანაც სჩანდა, რომ ზულეიკა მართლა მკითხაობდა და ამ ხელობით აუარებელ ფულს იღებდა. სხვათა შორის წაიკითხეს ერთის აფიცრის წერილიც, სამხრეთ აფრიკიდგან გამოგზავნილი. აფიცერი გაჯავრებული უსაყვედურებდა მკითხავს, რატომ წინდაწინვე არ გამომიცხადე, თუ ჩვენ რაზმს ბურები დაამარცხებდნენო. როგორც მკითხავის საანგარიშო წიგნიდგან აღმოჩნდა, მარტო 1899 წელს ზულეიკას მკითხაობით 25,000 ფრანკი აუღია. სასამართლოში ვექილი ამტკიცებდა, რომ ზულეიკას არასოდეს არ გამოუცხადებია, ეშმაკებისა და სხვა სულების შეწევნობით ვმკითხაობ და ვიტყობ მერმისსაო; ზულეიკამ ბევრის მეცადინეობის შემდეგ შეიძინა ნიჭი მომავალის გაგებისა და ეს-კი დანაშაულებად არ უნდა იქმნას ჩათვლილიო. ბევრს დიდ სამსახურიც-კი გაუწიაო, სთქვა ვექილმა, და ამის დასამტკიცებლად წაიკითხა შემდეგი წერილი, ზულეიკასთან მიწერილი: „თქვენ მირჩიეთ „სტელლში" (გემი, რომელიც ზღვაში დაიღუპა) არ ჩავმჯდარვიყავ და ამით გადამარჩინე სიკვდილისაგან. გულით გმადლობთ და ამასთან გიგზავნით 1000 გირვანქა სტერლინგს". სასამართლოში მყოფი საზოგადოება ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ტაშის ცემით მიეგება ზულეიკას. მოსამართლეებმა ბევრის თათბირის შემდეგ მკითხავს 500 შილლინგის ჯარიმის გადახდა მიუსაჯეს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 აპრილი.

**მოსკოვი.** დღეს ხელმწიფემ დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძითურთ დაათვალიერა ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელი. მისი უდიდებულესობა დაესწრო იუნკერთა გამოცდას, თვითვე შეეკითხა რამდენჯერმე მოსწავლეებს, გასინჯა წიგნთ საცავი და ისტორიული ნივთები და აგრეთვე სასწავლებლის საავადმყოფო, რომელშიაც ავადმყოფები არ იყვნენ. იუნკრები აღტაცებით მიეგებნენ მისს უდიდებულესობას და აღტაცებულისავე „ურა"-ს ძახილით გააცილეს.

დღეს, დიდის მთავრინას ალექსანდრე პეტრეს ასულის გარდცვალების მეცხრე დღეს, სასახლის ღვთისმშობლის შობის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა მისის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, იმპერატრიცა, დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და მისი მეუღლე.

დღეს, დილის 11 საათზედ, ხელმწიფე იმპერატრიცამ დიდის მთავრინითურთ დაათვალიერა ივერიის მოწყალების დათა საზოგადო საცხოვრებელი. ხალხი მისს უდიდებულესობას აღტაცებით ეგებებოდა ყველგან. მისმა უდიდებულესობამ დაათვალიერა საოპერაციო ოთახი, საბანებლები და ლაბორატორია, აგრეთვე სადოსტაქრო განყოფილების მამაკაცთა ნაწილი, სასადილო და ეკკლესია ივერიის ღვთის-მშობლისა. სამკურნალოს დათვალიერების შემდეგ ხელმწიფე იმპერატრიცამ წასვლა ინება და აღტაცებულის ძახილით გააცილეს.

დღეს ხელმწიფე, დედოფალი და დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ ბრძანდებოდნენ ნიკიტის სახელობის მონასტერში, რომელიც ნიკიტა რომანოვის მიერ არის დაარსებული. წინამძღვარმა მონასტრისამ მათ უდიდებულესობათ მიართვა წმიდა ხატნი: ხელმწიფეს— დიდის მოწამის ნიკიტისა და დედოფალს—ღვთის მშობლისა, ხოლო ავგუსტოესს შვილებს—სეფისკვერები. ერთი მოსწავლეთაგანი მათ უდიდებულესობათ ლექსით მიესალმა, მეორემ—დედოფალს პირსახოცი მიართვა. მათ უდიდებულესობათ მიუალერსეს ბავშვებს და წაბრძანება ინებეს საერო საგალობელის გალობის დროს. მონაზონთა ხორომ საგალობელითვე გააცილა მონასტრიდგან.

დღეს, მეოთხე საათზედ, ხელმწიფე, დედოფალი და დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ ბრძანდებოდნენ სტუდენტთა იმპერატორის ნიკოლოოზ მეორის სახელობის პირველს საზოგადო საცხოვრებელში. სტუდენტები აღტაცებით მიეგებნენ მათ უდიდებულესობათ. შესავალში მიეგება მათ უდიდებულესობათ უნივერსიტეტის მზრუნველი ნეკრასოვი და რექტორი ტიხომიროვი. სასადილოში მათნი უდიდებულესობანი მოწყალედ გამოელაპარაკნენ სტუდენტებს და შემდეგ სამზარეულო დაათვალიერეს. წიგნთ-საცავში ხელმწიფემ ყურადღება მიაქცია წიგნებს, რომელთა რიცხვი 5,000 უდრის, და იმას, თუ რა შინაარსის წიგნები იყო. შემდეგ მათნი უდიდებულესობანი შებრძანდნენ სტუდენტთა ოთახებში, სადაც სტუდენტები გარს ეხვივნენ. ხელმწიფემ ყურადღება მიაქცია ლითონის ფიცრებს, რომლებზედაც შემომწირველთა ვინაობაა ამოჭრილი, და მზრუნველის მოხსენება მოისმინა იმის შესახებ, თუ როგორ ჰხმარობენ შემოწირულებას. მათ უდიდებულესობათა წაბრძანების დროს გაბედნიერებულ სტუდენტთა აღტაცებული ძახილი გაისმოდა.

**თეოდოსია.** პროფესორის აივაზოვსკის გარდაცვალებამ მისის კუბოს გარშემო თავი მოუყარა ქალაქის წარმომადგენელთა, მრავალ-რიცხოვან მისთა თაყვანის-მცემელთა და დიდძალს ხალხს. ქალაქი თეოდოსია დიდის პატივისცემითა და განსაკუთრებულის სიდიადით აპირებს დასაფლავების მოწყობას. განსვენებულის გვამს დაჰკრძალავენ 22 აპრილს, დილის 9 საათზედ. პანაშვიდს დღეში ორჯელ იხდიან და დიდძალი ხალხი ესწრება.

**ბრიუსელი.** ამერიკაში მიმავალ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დეპუტაციას ლეიდსი მიაცილებს ბულონიამდე.

**როტერდამი.** ბურების დეპუტაციას აღტაცებით მიეგებნენ აქ.სალამოს, რამდენიმე დარბაზობის შემდეგ, დეპუტაცია ღია ეტლით მივიდა ნავთსადგურში და ამერიკაში მიმავალ გემზედ ავიდა.

---

ტანზე აქვს, ვერ ნახავთ თავადიშვილის ტანზე (ვა, ამაზე მეტი უბედურობა-ღა იქნება!) და აგრედვე რასაც უკანასკნელი ატარებს, იმას არ ატარებს პირველი (ვაი, ეს რა ქვეყანა ყოფილა ჩვენი ტურფა კახეთი!)

„ფეხზე ქალამანი, ტანზე ლურჯი შალვარი, ამ ფერივე ჩოხა, ანდა, რაც უფრო ხშირია, სალდათის ნაქონი შინელი, თავზე ან ნაბდის, ან ტყავის ქუდი აი გლეხის ჩაცმულობა. მას საქმას დღესაც ეს აცვია და უქმე დღესაც. თავადებს-კი ან აცვიათ ევროპიულად, ანდა ჩერქეზულად. აქვე გასინჯეთ მედუქნესაც-კი თავისი საკუთარი კოსტიუმი აქვს. ერთის სიტყვით ჩაცმულობა აღბეჭდავს მისს შთამომავლობას და წოდებრივ ურთიერთობას". [10])

აბა გამოიცანით ამ ახალ მოღვაწეს აქედამ რა გამოჰყავს? მე რომ გითხრათ, არ დამიჯერებთ, ისევ თვით ბ-ნ ჟორდანიას ვათქმევინოთ:

„ეს წმინდა კასტიური (კურსივი ჩემია) წყობილება გახლავსო", ჰყროტავს უთავბოლოდ ეს ჩვენი ახალი მოღვაწე, რომლის „სატრფიალო საგანია" გამოარკვიოს, ახსნას და შეიგნოს ახალ-ახალი მოვლენანი ცხოვრებისანი: „ამისი მზგავსიო არსად, არავითარ კულტურულ ქვეყანაში არ არის, არ არის აგრედვე ამ ჩვენს დასავლეთს საქართველოშიო". [11])

[10]) კვალი 1898 წ. № 36, გვ. 594.

[11]) „კვალი", 1898 წ. № 36, გვ. 593.

აქაო-და გლეხ კაცს გლეხ-კაცურად აცვია, თავადს—თავადურად, მედუქნეს—მედუქნურად, — კასტიური წყობილებაა კახეთშიო, მერე როგორი? „ამისი მზგავსი არსად, არავითარ კულტურულ ქვეყანაში არ არისო!" აი ამასა ჰქვიან თურმე ცხოვრების ფურცლებზე წაკითხვა მისი, „რაც დაწერილია და ან იწერება!" აი ამასა ჰქვიან, რომ ბ-ნი ჟორდანია ვითარცა ახალი მოღვაწე „სცნობს ცხოვრების მსვლელობას ისე, როგორც არის"! ამასა ჰქვიან,—გამორკვევა და ახსნა ცხოვრების მოვლენათა!

სიტყვა „კასტა, კასტიური" გაუგია-კი სადღაც და რა წითელი კოჰია, ამაზე კი ნურას უკაცრავად, არცა სცოდნია, არც რამ შეუტყვია. „ამისი მსგავსი არსად არისო", გვეფიცება ჩვენი ახალი მოღვაწე, არსად არისო, რომ გლეხს გლეხურად ეცვას, თავადს თავადურად და სხვანი და სხვანი. მაშ ინგლისის ლორდი და პროლეტარი, მუშა-კაცი ერთნაირად იცვამს. მაშ რა არის მუშის ჭუჭყიანი ბლუზა და ლორდის ფრაკი, ეს ერთი და იგივეა! გერმანიის ფეოდალი და გლეხ-კაცი არ განირჩევა ტანისამოსით ერთი მეორისაგან! განა საფრანგეთში პარიჟელი და სოფლელი გლეხი ერთნაირად იცმენ-იხურვენ! პირველ შეხედვითვე განა ერთმანეთისაგან არ განირჩევიან! განა ჩვენს ტფილისში კარტუზიანი ვაჭარი, მაძღარი ბურჟუა და კურტნიანი რაჭველი ერთნაირად ჩაცმულ-დახურულნი არიან! თვითონ ბ-ნი ჟორდანია პიჯაკშია და შლიაპაში გამოჭიმული და გურული გლეხიც განა პიჯაკსა და შლიაპას ატარებს! მაშ ყოველგან, ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას, ტფილისს და გურია-რაჭაშიაც კასტიური წყობილება ყოფილა. ამისი მზგავსი არსად არ უნახავს ბ-ნ ჟორდანიას, თუმცა ევროპა და საქართველო მოუვლია. გვჯერა, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ ყურება კი სცოდნია და დანახვა-კი არა. მას რომ თვალი არ უჭრიდეს, ჩვენი რა ბრალია!

ეს კასტიური წყობილება კახეთისა მარტო ამ სასაცილო ნიშნით არ არის თურმე გამოსახული. ბ-ნი ჟორდანია, ვითარცა ახალი მოღვაწე და წინ წასული მეცნიერი, არა სჯერდება ერთს საბუთს, სხვა საბუთებიც მოჰყავს, ხოლო პირველზე უფრო სასაცილო, პირველზე უფრო სამასხარო. მაგალითებრ:

„თავადი გლეხს ხელსაც არ მისცემს, მისს სახლში გლეხს ვერ ნახავთ, თუ რამე საქმე აქვს, ქუდ-მოხდილი დაბლიდან ელაპარაკება ბალკონზე მდგომ „კნიაზს". ეს იმას არ ეტყვის მობძანდიო და ის გადევ ამოსვლას ვერ გაბედავს (კურსივი ჩემია)... ლაპარაკითაც სხვები არიან: გლეხი რა ნაირათაც უნდა გამოაწყოს, როგორც-კი დალაპარაკებს, მაშინვე შეეტყობა გლეხიაო. აგრეთვე თავადი და მღვდელი! ქცევა, მიმოხვრა, ხასიათი, ზრდილობა სხვა-და-სხვა ნაირი აქვთ. ერთი სიტყვით, ყველა ნიშნები (ჰ)მოწმობენ, რომ აქ კასტიური (კურსივი ჩემია) განწყობილება და არა მარტო წოდებრივი... ჰო, საკვირველია, საკვირველი კახეთი! [12])

საკვირველი კახეთი-კი არ არის, საკვირველი ის ახალი მოღვაწეა, რომელიც ამებს ჰბოდავს და ჰროშავს. განა ის არის ნიშნები კასტიურ წყობილებისა, რაც თქვენ გვანიშნეთ და ჩამოგვითვალეთ, ბ-ნო ჟორდანიავ! იმ თქვენს ლექსიკონში მაინც ჩაიხედავდით, რომელიც ამას წინად გადმოიშალეთ, და მერე, თუ ჭკუა ნებას მოგცემდათ, იტყოდით ამ უმეცრობის აბდა-უბდობას და იწილო-ბიწილოს.

განა ინგლისის ლორდი, ინგლისის გლეხი, ან პროლეტარი, ან თუგინდ წვრილი ფერმერი ერთისა და იმავე სიტყვა-პასუხის კაცნი არიან. განა ლორდისა და ან სხვა მაღალის წოდების კაცის ქცევა, მიხვრა-მოხვრა, ხასიათი, ზრდილობა იგივეა, რაც გლეხისა, პროლეტარისა, თუნდ ფერმერისა! განა პარიჟელის ლაპარაკი, ქცევა, მიმოხვრა, ზრდილობა არაფრით განირჩევა საფრანგეთის გლეხისა და ერთობ მუშა-პროლეტარისაგან! თუნდ გერმანელი ფეოდალი აიღეთ და სოფლელი გლეხი! განა ყოველგან, საითაც-კი მიიხედავთ, ინტელიგენციის სიტყვა პასუხი, ქცევა, ზრდილობა და გონებაგაუხსნელის გლეხ-კაცისა ერთი და იგივეა! მაშ ყველგან კასტიური წყობილება ყოფილა, თუ თქვენს ზღაპრებს დავუჯერეთ.

[12]) „კვალი" 1898 წ. № 36, გვ. 593.

გესმით, ბატონებო, რა ახალი ამერიკა ამოუჩენია ბ-ნს ჟორდანიას! ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, მე-კი ამას ვიტყვი, რომ არა მგონია ქვეყანაზე, ბ-ნ ჟორდანიას გარდა, სხვა კაცი ჰპაჰანებდეს ისეთი, რომ ასე უთავ-ბოლოდ, ასე წარამარად, ასე გაუგებრად, ასე უცოდინარად სიტყვა კასტა, კასტიური ესმოდეს და ამ ნიშნებით ასურათებდეს. აი ესეც თქვენი ახალი მოღვაწე, რომლის „სატრფიალო საგანი" ამისთანა უმეცრობა ყოფილა. აი, თუ არ დაგიშლიათ, ასეთი ლაზღანდარობა უმეცრობისა თურმე „ცხოვრების ფურცლებზე წაკითხვა ყოფილა მისი, რაც დაწერილა და ან იწერება". აი ამას თურმე ჰქვიან „ცნობა ცხოვრების მსვლელობისა ისე, როგორიც არის". კაი ცნობაა, სწორედ მოგახსენოთ. სიტყვა კასტა, კასტიურიც ვერ წაუკითხავს შეგნებულად, ვერ დაუსწავლია რიგიანად და მოდით ამისთანა კაცს

**სოფია.** ოპოზიციის აგიტაციამ ათის თავის გარდასახადის წინააღმდეგ რუშჩუკის ოლქში სამს ადგილას იქამდისინ მიიყვანა ხალხი, რომ ამბოხება მოიწადინეს. ტორსტენიკში სოფლელები თავს დაესხნენ სუპრეფექტს. იქ მისული ჯარის-კაცთა რაზმი ცდილობდა დაემშვიდებინა ისინი, მაგრამ რაზმს ტყვია დაუშინეს და დასჭრეს ორი აფიცერი და ორი დაბალი ჯარის-კაცი. მაშინ ჯარმა თოფები დაუშინა მათ; ორი სოფლელი მოკვდა და 10 დაიჭრა; ამის შემდეგ მშვიდობიანობა აღდგინდა.

**ტაბანჩუ.** როცა გენერალმა დიკსონმა უკან დაიხია, მისი სურსათი მტერს ჩაუვარდა ხელში. უკანა ჯარს თოფ-ზარბაზნები დაუშინა მტერმა. უკან დახევამ განსაცდელში ჩააგდო გენერალი გამილტონი; მან შეჰკრიბა თავისი ჯარი და ფრთხილად დაიხია ტაბანჩუსაკენ, ხოლო პირველად არტილერიით და ქვეითა ჯარით თავგამოდებული წინააღმდეგობა გაუწია მაზედ მიმავალს მტერს.

**ლონდონი.** გაზეთებში დეპეშა არის დაბეჭდილი, რომელიც იუწყება, რომ კაპიტანი განეცკი მოკლულ იქმნა ადგილების დაზვერვის დროსო.

**პრეტორია.** ოფიციალური სამხედრო ბიულეტენი იუწყება: ტაბანჩუს აღმოსავლეთის მხარეს მოკავშირეთა ჯარებს 15 აპრილს 9 კაცი ჩაუვარდათ ხელში ტყვედ და 10 ცხენი დაინარჩუნეს. 17 აპრილს ბრანდფორტის მახლობლად გამოჩნდა ბრიტანიის ცხენოსანი ჯარი; მოკავშირეთა ჯარები ორ მხრიდგან თავს დაესხნენ მას და იძულებულ ჰყვეს უკან დაეხია. ბურებმა ტყვედ წამოიყვანეს 11 კაცი; იმათ მხრივ მსუბუქად არის დაჭრილი მხოლოდ ორი კაცი. სხვა წყაროებით, ბრანდფორდტთან ბრძოლა ჰქონდა ორს ჯარს, ვაკსერსტრომისას და ერმელოსას, ცხარე ბრძოლის შემდეგ 11 ინგლისელი იქმნა ტყვედ წამოყვანილი. ინგლისელებმა დასტოვეს ბრძოლის ველზე 19 დახოცილი კაცი, რომელთა რიცხვში კაპიტანი ლიდდი ურევია. ბურებს დაუჭრა მტერმა რამდენიმე კაცი. 17 აპრილს დილით ინგლისელები ისევ ყუმბარებს ესროდნენ ფოსტინსტრიმს.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება: 17 აპრილს გენერალმა გამილტონმა შესამჩნევათ გაიმარჯვა და მტერი იძულებულ ჰყო გაუტენეკი დაეცალა, რომელიც კარგად იყო გამაგრებული; შედარებით დიდი ზარალი არ მოსვლია მას. ბურები გაიფანტნენ აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს. ინგლისელებს ტყვედ ჩაუვარდათ ხელში 25 კაცი, იმათ შორის ერთი ჯარის უფროსია და 16 დაჭრილი. გამილტონი ამ ჟამად იმყოფება იაკობსრუსტში, სადაც ერთს დღეს დაჰყოფს, რათა შეასვენოს ჯარი. შვიდი დღის ბრძოლის შემდეგ მტერი აცხადებს, რომ ჩვენის მხრივ 12 კაცია მოკლული და 40 დაჭრილიო. რომელთა შორის 21 კაცი უცხო ქვეყნის რაზმებს ეკუთვნისო. უცხო ქვეყნის რაზმის უფროსი რუსი მაქსიმოვი დაჭრილია. ამბობენ, რომ დახოცილთა შორის ურევიან გერმანელი პორუჩიკი გიუნტერი და ორი ფრანგიო.

**ბლუმფონტეინი.** პოლკოვნიკ ბროდვიკის ცხენოსან ჯარის ბრიგადა იზაბელფონტეინში შევიდა, ტაბანჩუდან 28 მილის მანძილზე ჩრდილოეთის მხარეს.

**ლედი-სმიტი.** საქონლის ჭირი ისევ მძვინვარებს და ჯარის ცხენებს მუსრს ავლებს. ბრანდფორტი აღებულია, რომელსაც ერთსა და იმავე დროს მიადგნენ აღმოსავლეთის მხრივ ტუკერისა და პოლ-კერიუს დივიზიები და დასავლეთის მხრივ გუტონის ცხენოსანი ქვეითა ჯარი. ბურებმა, რომელთაც მოულოდნელად თავს დაესხა ინგლისის ჯარი, სისწრაფით უკან დაიხიეს. გუშინღამ 4000 ბური აქეთკენ მოდიოდა, რათა ხელი შეეშალათ ბრიტანიის ჯარის მოძრაობისათვის. ტუკერის არტილერიამ გააფუჭა ბურების ორი ზარბაზანი.

**ბერლინი.** იმპერატორმა ფრანც-იოსებმა დანიშნა გერმანიის იმპერატორი ავსტრო-უნგრეთის მხედრობის გენერალ-ფელდმარშლად.

**ტაბანჩუ.** ღამით ბურებმა დასტოვეს ტაბანჩუს მთა და, როგორც სჩანს, ჩრდილოეთისაკენ დაიხიეს სამის გზით. ამათ მიატოვეს ერთი ზარბაზანი. მზვერავებს ამბავი მოაქვთ, რომ მტრის ერთი რაზმი ვეპენერისაკენ წავიდაო. დღეს ფრენჩი ტაბანჩუდან გაელაშქრა, სადაც უფროსობს რენდლი. ბრაბანტი დაუყოვნებლად უნდა შეუერთდეს მას.

**ბერლინი.** იმპერატორი ფრანც-იოსები მობრძანდა დღეს პოტსდამის სადგურში, სადაც დაუხვდნენ მას იმპერატორი ვილჰელმი, პრინცები, გენერლობა, სტატს-სეკრეტარი ფონ-ბიულოვი და ავსტრო-უნგრეთის საელჩოს წევრნი.

22 აპრილი

**ბაქო.** კასპის ზღვაში დაიღუპა გემი „ალი-გუსეინიე“, რომელიც დაეტაკა გემს „კოსტრომას“, რადგან ძლიერი ბურუსი იყო. დაიღუპა მექანიკოსის პანკრატოვის ცოლი, მემანქანის თანაშემწე ბობროვი და 57,000 ფუთი საქონელი, რომელიც დაზღვეული იყო „რუსეთის საზოგადოებაში“.

**ბერლინი.** ფრანც-იოსები მივიდა ბადენის ჰერცოგთან და დაათვალიერა შარლოტენბურგის მავზოლეი, სადაც გვირგვინები დაადო იმპერატორ განჰელმის და იმპერატრიცა ავგუსტას საფლავებს, ხოლო პოტსდამის მავზოლეიაში ბრძანა გვირგვინი დაადონ იმპერატორ ფრიდრიხის საფლავს.—იმპერატორმა ვილჰელმმა უბოძა გრაფ გოლუხოვსკის ბრილიანტის ნიშნები შავი არწივის ორდენისა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. პენსიმანმა წინადადება შეიტანა, 200 გირვანქა სტერლინგი მოვაკლოთ სამხედრო მინისტრის ჯამაგირსო, რათა ამით წინააღმდეგობა განვაცხადოთ სპიონსკოპში მომხდარ ამბების გამოქვეყნების გამოვო. წინადადება შეწყნარებულ არ იქმნა. იმ კითხვაზედ, რომ იცის მთავრობამ თუ არა, ვითომც პარიჟში გემი დაექირავებინოს საფრანგეთის ბანკს იოჰანესბურგშიო, ბროდრიკმა განაცხადა, რომ მთავრობას ამის შესახებ არავითარი ოფიციალური ცნობა არ მოსვლიაო, მაგრამ მტრის საკუთრება, გარდა კონტრაბანდისა, ნეიტრალურს გემებზე, ხელუხლებელი უნდა იყვეს პარიჟის დეკლარაციის ძალითო.

**ბერლინი.** საღამოს 11 საათზე აქ მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, და ვაგზალში დაუხვდა იმპერატორი, პრინცი გენრიხი და დიდძალი ამალა.

იმპერატორმა ფრანც-იოსებმა უბოძა სტატს-სეკრეტარს ბიულოვს წმ. სტეფანეს ორდენი პირველის ხარისხისა.

**სოფია.** გლეხთა შორის აგიტაციის მოსასპობლად მთავრობამ გამოაცხადა სამხედრო დროის წესრიგი ტირნოვისა, რუშჩუკისა, სისტოვისა, რაზგრადსკისა, გორსკისა და ორეხოვეცკის ოლქებში.

**ბერლინი.** სადღესასწაულო სადილზე, რომელიც გამართულ იქმნა ფრანც-იოსების მოსვლის გამო, ვილჰელმმა სადღესასწაულო წარმოსთქვა, მიესალმა-რა სტუმარს, როგორც თავისს მეგობარს და მოკავშირეს „სტუმრობამო,— სთქვა მან —თვალსაჩინოდ ჰყო სიმტკიცე სამთა კავშირისა, რომელიც ღრმად არის შთაბეჭდილი ხალხთა რწმენასა და გულშიო“.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

25 აპრილი

ყარამან და ქრისტინა ძიძიგურებისა, რომელთაც სასჯ. დებ. მე-942 და 238 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

დავით შავარდნაძისა, რომელსაც სასჯ. დებ. მე-1480 მუხლ. აღნიშნული ბრალი ედება.


# განცხადებანი

ამა წლის 20 აპრილს, სოლოლაკისა და რტიშჩევის ქუჩების კუთხეში, თავ. ბებუთოვის სახლში გაიხსნა

## ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზი.

საჯარო ვაჭრობის დარბაზი ახდენს ვაჭრობას ყოველგვარ მოძრავ ქონებისას მთავრობის დაწესებულებათა, თანამდებობის კაცთა, საკრედიტო დაწესებულებათა, გამსესხებელ კასსებისა და კერძო კაცთა სურვილისამებრ. საჯარო ვაჭრობა მოხდება დარბაზის სადგომში, მაგრამ შეიძლება იგი მოხდეს ქონების პატრონთა სადგომებსა, დუქნებსა და მაღაზიებშიაც.

დაწვრილებითი პირობანი საჯარო ვაჭრობისათვის ქონების წარდგენისა, შენახვისა და თვით საჯარო ვაჭრობისა აღნიშნულია განსაკუთრებულ „დებულებაში“ „ტფილისის ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზის შესახებ“. ამ დებულების მიღება დარბაზის სადგომში შეიძლება. (5—6.—1)


„ეშხზე ელაპარაკეთ“. თავისთვის რომ ვერ აუხსნია, ვერ გამოურკვევია ეს სიტყვა, ვის რას აუხსნის, ვის რას გამოურკვევს ამისთანა ყოვლად უმეცარი და ქარაფშუტა მოუბარი. ან იქნება ამ შემთხვევაში იმ იმედზე იყოს, რომ კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას-კი ბუზს უგერებდაო.

დასასრულ ერთი სასაცილო ამბავიც მინდა მოგახსენოთ, ამბავი, რომელიც სწორედ ხელის ხელსაგოგმანებელია.

ეს ჩვენი ტყუილად თავ-მოწონებული უმეცარი ახალი მოღვაწე ერთს ადგილას ასე ჰლაღადებს:

„როცა რომელიმე მოღვაწე ევროპაში იტყვის ხალხიო, მაშინ ის და სხვებიც ერთს ყველაზე უფრო მოძრავ და მოწინავე ელემენტს გულისხმობს. ჩვენში თუ ხალხი ახსენე, უთუოდ ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილს, ანდა სოფლის უძრავ ელემენტს გულისხმობენ.“ („კვალი“ 1898 წ. № 41, გ. 674).

აქედამ აშკარაა, რომ ბ-ნი ჟორდანია წკეპლებში ატარებს ჩვენებურს თვალთა ხედვის ისარს ხალხის შესახებ და ჩვენის უვიცობის ნიშნად ევროპაზე ხელს გვიშვერს. ძალიან კარგი და პატიოსანი, ხოლო ეს-კი უნდა ვიკითხოთ: თვითონ ბ-ნი ჟორდანია ამ შემთხვევაში განათლებული ევროპიელია, თუ ჩვენებური უვიცი, რომელსაც წკეპლებში ატარებს, რომ ასე ჩამორჩენილა ევროპის თვალთა ხედვის ისარს. ამის ასახსნელად ერთს მაგალითს მოვიყვან და თქვენვე დაინახავთ, რომ ეს მაგალითი საკმაოა,—ზემო მოყვანილს საკითხს შესაფერი პასუხი გასცეთ.

აქ მე ვერ ავცილდები იმას, რომ კვლავ კირვალიძე და მისი ას-ერთი კაცი არ ვახსენო. მე ხომ მისაყვედურა, რომ კირვალიძე და მისი ას-ერთი კაცი მე საქართველოს ერად არ ვიცანი, რადგანაც ვითომც „ნულები“ დავარქვი. ბ-ნი ჟორდანია ამ ჩემს ვითომდა თქმულს ასე ჰხსნის და არკვევს:

„მარა რადგანაც მთელი ჩვენი ხალხი ასეთი „ნულებისაგან“ შე(ს)დგება, მაშ ყველა ეს წუალ-წასაღები ყოფილა. საქართველოს „ჩიორა და ახალ-მოსულიო“ შეადგენს თურმე და ნამდვილი ხალხიც ისინია! აი სადამდის მივიდა „ივერია“! [13])

ახლა ბ-ნმა ჟორდანიამ გვიბძანოს: კირვალიძე და ის ას ერთი კაცი „ერის ყველაზე უფრო მოძრავი და მოწინავე ელემენტია“, თუ „ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილი ან-და სოფლის უძრავი ელემენტი“? ორში ერთია: ან ყველაზე უფრო მოძრავ და მოწინავე ელემენტად უნდა ცნობილ იყოს კირვალიძე და მისი ამქარი და მაშინ, ბ-ნ ჟორდანიის სიტყვით, მე შორსა ვყოფილვარ ევროპიელისაგან, ან, ვიტყვი ბ-ნ ჟორდანიის სიტყვით და უკაცრაოდ კი არვიყო ბ-ნ კირვალიძესთან და მის ამქართან, ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილი ელემენტი ყოფილა და მაშინ მე ევროპიელებისამებრ მცოდნია რა უნდა იგულისხმოდეს, ოდეს კაცი ახსენებს ხალხსა, და ბ-ნი ჟორდანია კი ჩვენებური, მის მიერ წკეპლაში გასატარებელი უვიცი ყოფილა. არ ვიცი, კირვალიძე და მისი მგზავსი ას ერთი კაცი ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილი ელემენტია, თუ არა, ის-კი ნამდვილად ვიცი, რომ ჯერ არავის არსად გაუგონია, რომ კირვალიძე და მისი მგზავსი ას ერთი კაცი საქართველოს ერის ყველაზე უფრო მოწინავე ელემენტი იყოს. ამას ხომ ვერც თვითონ ბ-ნი ჟორდანია იტყვის პირდაპირ, თუ თავზე ხელს არ აიღებს. მაშ ორიდამ რა დაგვრჩა, თუ ბ-ნ ჟორდანიას ავყევით? ის, რომ კირვალიძე და ას ერთი მისი მგზავსი კაცი ან ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილი ელემენტია, ან არც ფლავია და არც ჩლავი. ცხადი არ არის, რომ კირვალიძეს და მისს ამქარს არც ერთი იგი ნიშანი არა სცხია, რომ ევროპიელებისამებრ ხალხად საცნაური იყოს, და თუ მაინცა და მაინც ხალხად ჩასთვლის ვინმე, ან ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილ ელემენტად უნდა იცნოს, ან არც ჩლავად და არც ფლავად. გამოდის, რომ ამისთანა კაცს ჩვენებურად, უვიცად, უმეცარად უნდა ვაეგო—რას ნიშნავს სიტყვა ხ ა ლ ხ ი და არა ევროპიულად, რაკი კირვალიძეს და მისს ამქარს ხალხადა ჰხადის.

სწორედ ამისთანა კაცად გამოდის ბ-ნი ჟორდანია, ან არადა უნდა დაგვიმტკიცოს, რომ კირვალიძე და მისი მგზავსი ას ერთი კაცი ჩვენის ქვეყნის ყველაზე უფრო მ ო წ ი ნ ა ვ ე ელემენტია. კაცმა, რომელმაც ასე გაგვიპენტა ინტელიგენცია, ასე მიწასთან გაგვისწორა, არა გვგონია გაბედოს და კირვალიძისთანა კაცების მ ო წ ი ნ ა ვ ე ო ბ ა, მერე ყველაზე უფრო, გვიქადაგოს და გვიღაღადოს; მაგრამ ბ-ნ ჟორდანიასაგან არც ეს გამიკვირდება: იგი ახალი მოღვაწეა, ესე იგი, იმისთანა კაცი, რომელიც ცხოვრების ფურცლებზე ჰკითხულობს იმას, რაც ზედ დაწერილა, ან და იწერება და რომელსაც ცხოვრების მსვლელობა ისე სცოდნია, როგორიც არის და ცხოვრების ახალ-ახალ მოვლენათა ახსნა, შეგნება და გამორკვევა „სატრფიალო საგნად“ გახდომია. კაი „სატრფიალო საგანი“ ჰქონია, თუ ამისთანა უმეცრობის მურით შეუთითხნის სახეს და ქვეყნის სასაცილოდ გამოიყვანს მზეზე.

ჩემ გამო მისწვდა „ივერიას“, რომ მე ბ-ნ ჟორდანიის რეცეპტითვე ევროპიულად მოვიქეც და კირვალიძე და მისი ამქარი ხ ა ლ ხ ა დ არ ვიცანი, და თვითონ-კი თავისს რეცეპტს გადაუდგა, ევროპიელობაზე ხელი აიღო და „ივერიასვე“ ნიშნს უგებს: „აი სადამდე მივიდა „ივერიაო“. სადამდე მივიდა! სწორედ იქამდე, სადამდინაც ევროპიელნი მისულან, თქვენისავე სიტყვით, და თქვენ-კი იმ უმეცრობაში გაბაწრულხართ, რომლის გამოც ჩვენებურებს ამ შემთხვევაში ასე შეუბრალებლად წკეპლასა სცემთ.

ეხლა სწორედ მე მეთქმის: აი სადამდე უკან ჩამორჩენია ევროპას ეს ჩვენი გუდა-ფშუტა ვითომდა ახალი მოღვაწე. სასაცილო არ არის ეს ამბავი: კაცი სიტყვით წინ იწევდეს თავ-გადაგლეჯილი და საქმით კი ფეხები დამბლასავით უკან რჩებოდეს!

განა მართალი არ ვიყავ, როცა ვთქვი, რომ ეს ამბავი ხელის-ხელ საგოგმანებელია? განა სასაცილო არ არის, რომ ბ-ნმა ჟორდანიამ ასე გაიბა თავი საკუთარს მახეში?!

ახალ-მოსული

[13]) „კვალი“, 1900 წ. № 14, გვ. 220.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го Апрѣля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე